პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 22 მარტი № 68 (17711) ფასი 2 კაპ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

20 მარტს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო კრებამ. კრებაზე განხილულ საანგარიშო მოხსენება კოლმეურნეობათა საბჭოების მიერ განვლილი ხუთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ, იმსჯელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმისა და 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ამოცანებზე.

სრულიად საკავშირო კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც მოიწონა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს საქმიანობა და განსაზღვრა კოლმეურნეობათა საბჭოების ამოცანები.

განიხილეს საკითხი კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე მიღებული კოლმეურნეობის მოქმედი სანიმუშო წესდების ზოგიერთი დამატებისა და ცვლილების შესახებ. ეს დამატებები და ცვლილებები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს და მიზნად ისახავს საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეთა უფლება-მოვალეობების გაფართოებას, [illegible] კოლმეურნეობა [illegible] ... კოლმეურნეობა [illegible] ... ხელმძღვანელობის. კრებაზე სიტყვა თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. კ. მესიაცი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

კრების მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აღუთქვამენ, რომ კოლმეურნე გლეხობა მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარს მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებას, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდება სკკპ XXVI ყრილობას. (საკ-დესი).

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 20 მარტი. (საკ-დესის კორ). ნაყოფიერი იყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისათვის ხუთწლედის მეოთხე წელი. მკვლევარებმა შექმნეს ზამბარა, კომპოზიციური მასალები, დიდმწარმოებლური მინდა მიკრო-ელექტრომამამთავლელი მანქანები, შედეგებისა და სხმის პროგრესული ტექნოლოგიები, ფართო დანიშნულების მართვის ავტომატური სისტემები.

ეს ფაქტები მოიყვანეს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრების დღეს გამართულ სესიაზე. მოხსენება გააკეთა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ბ. ე. პატონმა.

კრების მონაწილეებმა იმსჯელეს მეცნიერთა აქტუალურ ამოცანებზე მეთერთმეტი ხუთწლედის გეგმების შედგენასთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ძალებისა და სახსრების კონცენტრაცია მეცნიერულ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობის საკვანძო დარგების განვითარებისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებას. მიღებულია გადაწყვეტილება უკრაინის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნას ოკეანოლოგიის, ჰიდროფიზიკისა და გეოგრაფიის განყოფილება.

✦✦

ᲒᲔᲚᲐᲓᲡ ᲠᲐᲪ ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲔᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲙᲐᲜᲘ. (აზერბაიჯანის სსრ). ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში შეტანილია დეპეშა, რომელიც 1920 წელს გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს ლენინაკანის მაზრის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის კონფერენციის მონაწილეებმა. კომკავშირელები ამ დეპეშით მხურვალე მადლობას უთვლიან ვლადიმერ ილიას ძეს, რომ საშუალება აქვთ ეზიარონ კულტურასა და სილამაზეს, და ფიცს აძლევენ, რომ შეასრულებენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ყველა დიკტატს. ლენინაკანის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ზედიზედ მეშვიდე წელია გამარჯვებულნი გამოდიან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდ წარმატებებს მიაღწიეს კულტურულ მშენებლობაშიც. მარტო უკანასკნელ დროს აქ შეიქმნა დრამატული თეატრი, ინტელიგენციის სახლი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის განყოფილება, გაიხსნა 30 სასოფლო კულტურის სახლი, კლუბები და ბიბლიოთეკები, მუსიკალური სკოლა. (საკდესი).

ᲒᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲣᲛᲐᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ

ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ. (სომხეთის სსრ). ოსტატობის გაკვეთილებმა, საუკეთესო მდნობელებისა და ჩამორჩენილების ერთობლივმა შრომამ შესაძლებელი გახადა ალავერდის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში მნიშვნელოვნად გაზრდილიყო ნედლეულისაგან სპილენძის გამოყოფა. პარტიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების ინსპექტორი, ს. გუნთაიშვილი — რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზით“ რედაქტორის მოადგილე; ბ. ბაშაკიძე — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲡ — ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძლიერებას და კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას ემსახურება თავისი აზრითა და მომავლით საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთელი სისტემა. პირველი ხუთწლედების პირველმა მეათე ხუთწლედში დიდ აღმავლობას მიაღწია და ჩვენი სამშობლო სახელოვანი მუშათა კლასის რეზერვების მომზადებასა და შექმნაში მოწინავე პოზიციებზე გავიდა. იგი ახალი მაგალი მაჩვენებლებით ხასიათდება, კერძოდ, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ 1980 წელს, როცა ჩვენი ხალხი დიდი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობით ეგებება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ემზადება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის. ჩვენი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კოლექტივებმა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური შრომის, ლენინური შრომის წლად აქციეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, რომელმაც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას მოქმედების ფართო პროგრამა დაუსახა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში ნათლად წარმოგვისახა განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის მუშაკადრის, ახალი ტიპის სპეციალისტის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები: „ეს არის მაღალი კულტურისა და მოქალაქეობრივობის ადამიანი, რომელმაც მიაღწია პროფესიული ოსტატობის მწვერვალებს, თავისი საწარმოს, თავისი კოლმეურნეობის, თავისი საბჭოთა მეურნეობის პატრიოტი; ასეთი გვინდა იყვნენ ისინიც, ვინც უნდა გადაწყვიტოს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები მომავალ ხუთწლედში“.

აი სწორედ ასეთი ადამიანების აღზრდას ემსახურება ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია, მათ შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, საწარმოო სწავლების დამსახურებული ოსტატები და მასწავლებლები. მასწავლებელთა 95 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს. უმაღლესი განათლება აქვს საწარმოო სწავლების ოსტატთა 27 პროცენტსაც. პროფესიულ-ტექნიკურის მასწავლებლობა ყოველწლიურად საიმედო შევსებას იღებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიდან და ტექნიკუმებიდან. პროფტექგანათლების სისტემაში სამუშაოდ მოდის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის არაერთი გამოცდილი მასწავლებელი; წარმოების გამოცდილი მუშაკებიც გადადიან პროფტექგანათლების სისტემაში ოსტატებად და სპეციალური საგნების მასწავლებლებად, თავიანთ დიდ პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებენ მოსწავლეებს, მომავალ სპეციალისტებს.

მუშათა კლასის ღირსეული ცვლისა და შევსების აღზრდისა და პროფესიული დაოსტატებისათვის პარტიული ზრუნვის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებისადმი შეუნელებელი ყურადღებისა და დახმარების კარგი გამოცდილება დაგროვეს თბილისის ლენინის, საქარხნო, 26 კომისრის რაიონულმა, ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სწორედ პარტიის დიდი ზრუნვით არის, რომ განუხრელად იზრდება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებელთა ავტორიტეტი მასებში. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სისტემა ერთ-ერთი პირველი გადავიდა საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშების მომზადებაზე; მან თავისი არსებობის 39 წლის მანძილზე 440.520 კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი მოუმზადა სახალხო მეურნეობას. მარტო 1976-1979 წლებში მოამზადა და მრეწველობას მისცა 46.890, მშენებლობას — 17.860, სოფლის მეურნეობას — 24.560, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს — 7.450, კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტს — 7.940 კვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტი. გასულ წელს განათლების ამ სისტემის მიერ მომზადებული 29.227 კვალიფიციური მუშა — ჭაბუკი და ქალიშვილი მიიღო შევსებად რესპუბლიკის მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ. რესპუბლიკის პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ პროფტექნიკური განათლებისათვის. მეათე ხუთწლედში აშენდა 11.290 მოსწავლისათვის გათვალისწინებული 37 ობიექტი. ამჟამად რესპუბლიკაში 136 სასწავლებელია, სადაც 60.000-მდე ახალგაზრდა ეუფლება 214 მუშის პროფესიას. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლთა დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს მის მიერ საქვეყნოდ ცნობილ ადამიანთა — სოციალისტური შრომის გმირთა მთელი პლეადის აღზრდა; ამ სისტემის სასწავლებლთა კურსდამთავრებულთაგან ხამშობლომ მიიღო სპორტის არაერთი ვარსკვლავი, მრავალი ოსტატი, რეკორდსმენი. სულ ახლახან იზეიმა ახალგაზრდობამ მთელი სპორტული კომპლექსის მიღება თბილისში. ამ ავტორიტეტის გამო, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

კერძომესაკუთრულ ტენდენციას შემოძეძედი ვერ შეურიგდება

ДРОИС ЗКЕРДЗКЕР ХЕДЕОВНЕБА ЗЕБРЗОДОЗ ЗЕНЕ ЗЕУРИГДЕБА

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ მოსწრებია ისტორიის ისეთ თავბრუდამხვევ რბოლას. დროს არასოდეს არ აღრნიშნავს თავის კალენდარზე ესოდენ ვასაოცარი და ამდენი აღმოჩენები, ბუნებასა და სამყაროზე ადამიანის ისეთი ვაბედული და არნახული გამარჯვებანი. საბჭოთა სახელმწიფოს ყველა უბანზე კომუნისტისათვის ბრძოლა სულ უფრო ფართოდ ჩაფიდება და ამავიდრებს მომავალი საზოგადოების მშენებელთა სიდიადესა და ულიერ სილამაზეს. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით პრინციპიულად დგება ახალი ადამიანის კომუნისტური აღზრდის ამოცანა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის თანამიმდევრობა, რომლითაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იბრძვის ჩვენს საზოგადოებაში მავნე და კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ. ამ თანამიმდევრობაში იგრძნობა არა მარტო ძალა და საღი აზრი, არამედ ჭეშმარიტი ზრუნვა და ფუხილი ადამიანების ბედისათვის, ტენინარეს ყოველისა, ახალი თაობის ბედისათვის, მისი მომავლისათვის.

აღძრულ თემას რამდენიმე ასპექტი აქვს. იგი გულისხმობს, რომ ერთმანეთს შეეფარდაოთ მეცნიერულობა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი, კონკრეტული ფაქტები და განზოგადებანი, პუბლიცისტური სიმწვავე, ისტორიულობა და პრობლემების თანამედროვე გააზრება.

ეჭვი არ არის, რომ ამ საწყისების შერწყმა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ორმა გააზრებას და სულიერი ძალების დაძაბვას, უკომპრომისობას, სიმტკიცეს, პრინციპულ პოზიციას შესასწავლი საგნის კვლევაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, კულტურა არის საზოგადოებრივი მოვლენა, რომელშიც გამოხატულებას პოულობს გარკვეული კლასობრივი თვალსაზრისი, ან, უფრო ზუსტად, კლასის იდეოლოგია. ვ. ი. ლენინის მოძღვრება ბურჟუაზიული წყობილების დროს თითოეულ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ საკვანძოსია და სრულად გამოხატავს ამ აზრს, მოწმობს, რომ არც არის და არც შეიძლება იყოს არაკლასობრივი იდეოლოგია.

დღეს იმ ამაღლებული ამოცანების თვალსაზრისით, რომლებსაც პარტია უსახავს ხალხს, განსაკუთრებით ძალიერდება სოციალისტური კულტურის — ლიტერატურის, ხელოვნების, ყველა იმ მაესთრიული კომუნიკაციის საშუალებათა აღმზრდელობითი როლი, რომლებიც კომუნისტური იდეების სულისკვეთებით უყალიბებს შეგნებას ახალ და ახალ თაობებს.

ლიტერატურა და ხელოვნება დროთა თანამგზავრნი არიან, მათ არ შეუძლიათ არ იგრძნონ თითოეულ მოცემულ მომენტში, თუ რა სჭირდება ამ დროს, რა არის მისი ფუხილი, სატკივარი და ლხინი, რეფთ სულდგმულობს იგი და თვითონაც იკვეე ასულდგმულებს. „ნელოვანი, — ამბობს გორკი, — თავიანი ქვეყნის, თავიანი კლასის მგრძნობელია, იგი მისი ყური, თვალი და გულია, თავისი ეპოქის ხმაა“.

ეს ხმა შეიძლება იყოს მეჩექარეც და ჩუმიც. სამეგ ის კი არ არის, თუ რამდენად ხმამაღლა ამბობ, არამედ ის, თუ რა გსურს თქვა. ანუ, უფრო ზუსტად: ემთხვევა თუ არა შენი, საკუთარი, სუბიექტური სურვილი იმას, რასაც შენგან მოელის დრო.

ამბობენ: ლიტერატურა და ცხოვრება, ხელოვნება და ცხოვრება. მინდა ამას დავუმატო — და ბრძოლა. უბრძოლველად ვერც თეატრი იქნება, ვერც ლიტერატურა.

საბჭოთა ლიტერატურას, საბჭოთა თეატრს არასოდეს არ შინებია მწვავე კონფლიქტებისა ცხოვრებისეული პრობლემების აღძარვის ეამს. ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში ეს ტრადიცია ყოველთვის ძლიერი იყო თავისი ცხოვრებისეული სიმართლით და ჩვენი წყობილებისათვის შეუთავსებელი უცხო გავლენებისა და ეიცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით.

როცა თავიანთი გამოსვლების ეამს გოგოლის, ოსტროვსკის, გონჩაროვის, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვა კლასიკოსთა სახეებს მიმართავდნენ, ვ. ი. ლენინი და პარტიული პუბლიცისტები ყოველთვის იყენებდნენ ამ ტიპებს პოლიტიკური ანალიზიებისა და იმ საკითხების მწვავედ დასმისათვის, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდა დროის პრობლემებთან.

საბჭოთა კულტურა, რომელიც მტკიცედ მიჰყვებოდა ვ. ი. ლენინის დიად მოძღვრებას წარსულის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე წარსულის კულტურის საუკეთესო რეალისტური, დემოკრატიული ტრადიციების კანონიერი მემკვიდრე გახდა.

როცა ქართული თეატრის სცენაზე იქმნებოდა ლეარსაბ თათქარიძის სახე ვ. გოძიაშვილის, გიორგი ხიხიანა — შ. ღამბაშვილის, ან სუნდუკიანის ზიმზიმოვისა — ე. მანჯგალაძის შესრულებით, ეს იყო მონუმენტური სცენური ჰიპერბოლა, გაბედული, თამამი გროტესკი. მაგრამ მათში იყო დიდი ეროვნებისეული სიმართლეც, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა თანამედროვეობასთან, რადგან კლასიკის მეშვეობით ამათრახებდა თანამედროვეობის მანკიერებებს. და მაყურებელსაც სწამდა რეალისტური თეატრის ეს დიდი სიმართლე.

ჩვენ კერძომესაკუთრული ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინებების, — მოძხვეულობის, გამამარჯვებით ქმაყოფილებას, არამედ რწმენის დაკარგვასაც.

ზოგჯერ თვითონ ვაანგარევთ იმას, რაც ზრომით და მეთოდიკურად გვიშენებია. ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ ბევრი კარგი ღონისძიება, კრებები, დისპუტები, სეკტატაკლები, რომელნიც მორალის, ზნეობის, აღზრდის პრობლემებს მიეძღვნება, და ეიკარად ერთი პატარა შტრიხით გავაცამტვეროთ ყოველივე ის, რასაც ასე მაზნებენდით და ორმა რწმენით ვამტკიცებდით. შეგვიძლია მაღალფარდოვანი სიტყვებით ვლაპარაკობდეთ სინდის-ნამუსსა და პრინციპულობაზე, და იქვე პარტიაში მივიღოთ არც თუ მთლად ღირსეული კაცი. ჩვენს გარშემო მყოფმა ადამიანებმა კი იციან, რომ მასზე უკეთესიც არსებობს. ჩვენ შეგვიძლია განვადიდოთ კაცი, კარგი, სასპატიო და ზოგჯერ მაღალი თანამდებობაც მივცეთ, ხელისუფლების ორგანოშიც ავიარჩიოთ, გარშემო კი ყველამ იცის მისი ცოდვები, რომ სინამდვილეში იგი არც ისე წმინდა და უზადოა მორალის, პატიოსნებისა და სინდისის საკითხებში.

და არაფერი, არც ბავშვობისდროინდელი ეიდი აღზრდა, არც სკოლაში უზედამხედველობა, არც ქუჩის გავლენა, არც მრავალმხრივ მოძველებული უმაღლესი სასწავლებლის სისტემა არ უშლის ხელს ისე იდეოლოგიურ აღზრდას და ახალგაზრდობის დავალიანებას, არაფერი არ კლავს მასში რწმენას ისე, როგორც ნორმის შესახებ უკვე ჩამოყალიბებული წარმოდგენების ნგრევა, თუნდაც ეს წარმოდგენები ელემენტარული, პრიმიტიული იყოს.

საკმარისია დაწესებულებისა თუ ობიექტის ხელმძღვანელმა რაიმე შესაცოდოს ამ მხრივ, ნდობა გამოიკეხდოს იმ ადამიანს თავიანი „ძმაკაცური“ გრძნობებისა თუ გულარხეინობის და გულგრილობის გამო, ე. ი. დაუშვას ამგვარი შეცდომა — უსამართლობა, რომ ჩვენ თვალწინ ყველაფერი ისე ჩაიფუშება, როგორც ქვიშით ნაგები სათამაშო სახლი.

ხელოვნება და ლიტერატურა აქაც ფხიზლად უნდა იყოს.

დეს არა მარტო დადებითი გმირის კონკრეტული სახით, არამედ იმითაც, თუ რომელი პოზიციებიდან ამხილებს ხელოვანი უარყოფით მოვლენებს.

ყოველ თქვენგანს წაუკითხავს ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“. ავტორს მშვენივრად ესმის, რომ საქმე ეხება დამნაშავეებს, რომ „სიმშვიდის დამრღვევნი“ მკაცრად უნდა დაისჯონ, მაგრამ მას პარალელი არ გაუკეთებია ბანდიტსა და ყოფილსშემწყნარებლობას შორის და მხოლოდ სიკეთის პოზიციებიდან ებრძვის დამნაშავეობას, იგი ბრალს სდებს, როგორც კაცი, რომელსაც სწამს ზნეობრივი კრიტერიუმის ძალა.

ხელოვნებაში, ლიტერატურაში ძალზე მნიშვნელოვანია მივაგნოთ მხატვრულ ფორმას, გამოსახვის ხერხთა კომპლექსს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ხატოვნად, მეტაფორულად განვაზოგადოთ და დავანახვოთ სხვებს მოვლენის არსი.

ვის არ ახსოვს შესანიშნავი საბჭოთა ფილმი „ლენინი 1918 წელს“, სცენა, სადაც ლენინი ესაუბრება პატარა გოგონას, შემთხვევით რომ აღმოჩნდა მის კაბინეტში.

— სად არის დედაშენი? — ეკითხება ლენინი. — დედა შიმშილით მომიკვდა, — უპასუხებს გოგონა. და ბელადის გონებაში მაშინვე გაიელვებს აზრი: იგი იღებს ტელეფონს ყურმილს და ურეკავს ძერჟინსკის — „დახვრიტეთ ყველა საეკულანტი“, — თითქმის ყვირის ლენინი.

ამ სცენაში უდიდესი მხატვრული ძალით, ერთი ბავშვის ბედის, ერთი, თითქოს კერძო შემთხვევის მეშვეობით წარმოგვიდგება მხატვრული განზოგადების, მთელი მოვლენის მხატვრული ტიპიზაციის საოცრად მკაფიო, ღრმა სახე.

საჭიროა არა მარტო ობიექტივისტურად გამოხატო, ასე ვთქვათ „გამოთქვა“, არამედ გამოავლინო კიდევ შენი დამოკიდებულება, ხელოვანის პოზიცია მოვლენისადმი! და მთავარი ის არის, თუ როგორ შეძლებ ამას. მთავარი ის არის, რომ აქტუალური იდეის გამოხატულება აიკვანო იმ დონემდე, როგორ დონეზეც არის დღეს, მაგალითად, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“.

ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სფეროა ტელევიზია. მის ეკრანთან ათასობით ადამიანი იყრის თავს არა მარტო დასასვენებლად, არამედ ახალი ინფორმაციის მისაღებადაც. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ტელევიზია მყარ ცოდნას არ იძლევა. ფაქტების გროვა, რომლის შესაძენად არც დიდი შრომა გაგიწევია, არც წიგნზე გიმუშავია, არც ოფლი გიღვრია და არც ლამეები გითევია, გაციცლებით ნაკლებს გაძლევს, ვიდრე მუყაითი, გულმოდგინე მუშაობით შეძენილი ცოდნა.

მაგრამ არც ეს არის მთავარი. აქ გაციცლებით მნიშვნელოვანია თვითონ სატელევიზიო ჟანრის სპეციფიკა. პროგრამების სწრაფი ცვლა, დახვავებული ინფორმაცია ხელს არ უწყობს აღქმის პროცესის ნორმალიზაციას და, მაშასადამე, ვერ უზრუნველყოფს საჭირო ეფექტს ადამიანის სულიერი ზრდის სფეროში. ჩვენ შეგვიძლია ეკრანზე ვნახოთ დოკუმენტური გადაცემა იმის შესახებ, თუ როგორ გაძარცვეს კაცი ან მოკლეს კარგი ბიჭი, ორი წუთის შემდეგ კი იქუხებს ჯაზი, გაისმის კაკაფონია და ვეღარაკი კი ასწრებ იმის გააზრებას და განცდას, რაც ეს-ეს არის მოისმინე. მე სრულიადაც არ მინდა ვიმღვრეულნო და ვლაპარაკობ არა რომელიმე კონკრეტულ ტელე-რადიო კომიტეტზე, არამედ საერთოდ ამ სახეობის კომუნიკაციის სპეციფიკაზე, როგორც ჩანს, პროგრამების შემდგენლებმა უნდა გათვალისწინონ ეს მომენტი.

ყველაფერი რიგზე ვერ არის სკოლებში. ლიტერატურის სწავლებისას არ მიმართავენ ნაწარმოების საფუძვლიან შინაგან განზოგადებას. ნაწარმოების ყველაზე კეთილსინდისიერი ლიტერატურული ანალიზიც კი ვერ მისცემს მოსწავლეს სულიერ საზრდოს, ხელს ვერ შეუწყობს მისი ზნეობრივი პოტენციალის ზრდას, თუ თვითონ პედაგოგმა არ დაანახვა ნაწარმოების სწორედ ეს, ზნეობრივი ასპექტი, მისი არამარტო ესთეტიკური, არამედ ეთიკური აზრიც.

და კიდევ ერთი რამ. მინდა პატრიოტიზმის პრობლემას შევეხო. ეს პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სისტემაში. საბჭოთა პატრიოტიზმი — ეს არ არის სამშობლოსადმი სიყვარულის გამოვლენა მარტოოდენ იმ პერიოდში, როცა მას საფრთხეს უქმნიან გარეშე მტრები, ეს არის ამავე დროს მისი დაცვა შინაური მტრებისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც აბრკოლებს მის წინსვლას. თეატრიც და ლიტერატურაც, იდეოლოგიური ფრონტის სხვა კატეგორიებიც ყოველ ქამსა და წუთს უნდა უნერგავდნენ ჩვენს ადამიანებს სწორედ ამ პატრიოტულ გრძნობებს — სამშობლოს სიყვარულს, ყოველივე იმის დაცვის სურვილს, რაც ეხება მის ლირსებას, მის პრესტიჟს, მის სიამაყეს, იქნება ეს ეროვნული ენა, ეროვნული მონაპოვარი თუ მისი სახელმწიფო დოვლათი, რომელიც ხალხს ეკუთვნის.

დოვლათი, მონაპოვარი! ამაზე წინათ ენერგიჭეშეს ვიყავი. დიდხანს გავიკვირეოდი წყლით საფეს ქვაბულს. მოვიარე მისი კაშხალი, ეიცავი ბილიკები და ულსაქოლო გვირაბები. და ყველგან თვალწინ წარმომიდგებოდა ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი სიმდიდრე, რომლითაც ესოდენ სამართლიანად ვამაყობთ, ადამიანის უდიდესი სიმდიდრე — მისი ნიჭი, ნებისყოფა, ეოდნა, გამოცდილება და მამულის ერთგულება. და ვფიქრობდი, რა ბევრის ღირსია ადამიანი, რომელმაც ეს უთვალავი დოვლათი შექმნა, რაოდენ თაყვანისცემას იმსახურებს იგი ყოველი ჩვენგანისაგან, კულტურის ფრონტის მუშაკებისაგან, რაოდენ დიდია ხელოვნებისა და ლიტერატურის ეალი მის წინაშე.

ამ ადამიანის სიკეთისათვის უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ უზრუნველეყოთ მისი ნათელი მომავალი.

ეთერ გუგუშვილი.

კონცენტრაციის გზით

ტექნიკური პროგრესი

დროის მოთხოვნაა

შარშან, წლის ბოლოს, შეიქმნა საწარმოო ავარარული გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატი“. მასში შევიდნენ თბილისისა და ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები, ქობულეთისა და შუა ხორგის სამკურნალო ნედლეულის მეურნეობები, რომლებიც წინათ უშუალოდ ქვეყნის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდნენ.

გაერთიანების ჩამოყალიბებიდან დღემდე კანონიერი დრო არცთუ ისე დიდია და ლაპარაკი მასზე, როგორც კონცენტრირებულ ორგანიზაციაზე, ჯერ ნაადრევი იქნებოდა. ამიტომ, როცა გაერთიანების მთავარი ინჟინერი ზ. კორძაია ვინახულეთ, ჩვენ გვაინტერესებდა უპირველესად ამ ახლახან დაწყებული საქმის მეტად მნიშვნელოვანი მხარე: გვინდოდა გაგვეგო, როგორია მეთაური საწარმოს — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, შეუძლია თუ არა მას სამაგალითო-საჩვენებელი გახდეს დანარჩენი საწარმოებისათვის და გადამწყვეტი როლი შეასრულოს გაერთიანების ჩამოყალიბებაში?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მივიღეთ.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მიღწევები მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში, მართლაც რომ, დამაჯერებელია. შარშან მისმა კოლექტივმა გამოუშვა 20.115 ათასი მანეთის პროდუქცია — 615 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ხუთწლედის ბოლოსათვის იყო გათვალისწინებული. წლის დამდეგს ქიმიკოსებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ეს ციფრი კიდევ 1,5 მილიონ მანეთამდე გაზარდონ. იქნა არ არის, რომ სიტყვას აუცილებლად საქმე მოჰყვება.

რა გვაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ეს უთუოდ ასე იქნება? ქარხნის კოლექტივის შეუნელებელი ზრუნვა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამაზე კი მჭიდრომეტყველურად ყველა ციფრები მეტყველებს: ხუთწლედის ოთხ წელიწადში შრომის ნაყოფიერება 56,3 პროცენტით გაიზარდა! წარმოების ამ ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებლის ასეთი ნახტომისებური ზრდას ბევრი საწარმოს კოლექტივი ვერ დაიკვეხნის.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებისადმი სწრაფვა, წარმოების საკითხებისადმი პერსპექტიული მიდგომა — აი საზომები, რომლებითაც ქიმიკოსები ხელმძღვანელობენ. დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში საწარმოში იმდენი ტექნიკური სიახლე დაინერგა, რომ ერთ საგაზეთო წერილში მათ შორის უმნიშვნელოვანეს სიახლე თ ა მთლიანად ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით..

ქარხნის სული და გულია საამპულო საამქრო. ამ რგოლის წარმოების კულტურის დონეზე ბევრაც არის დამოკიდებული ქარხნის პროდუქციის პრესტიჟი. სწორედ ამ გაგებით ხელმძღვანელობდნენ აქ, როცა ძველი მარკის ამპულების საყალიბე მოძველებული ავტომატები ახლით შეცვალეს და მკვეთრად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. კარგა ხანს ამუხრუჭებდა საამქროს წინსვლას ამპულების ხელით შეფუთვის პროცესიც: ძალზე დაბალი იყო ამ ტექნოლოგიური ციკლის მსვლელობის სიჩქარე და ხარისხიც. ეს კი მანამდე, იყო, სანამ ადამიანის დასახმარებლად ავტომატები არ მოვიდა და ხელით შრომა წარსულს არ ჩაბარდა. ახლა ამპულების საფუთავ უბანზე ორიოდე კაცს თუ დაინახავ, ეს ისინიც მხოლოდ მანქანების მეთვალყურეთა როლს ასრულებენ.

— ქარხნის წამყვანი ტექნოლოგების დასაფასებელი საამქროა. აქ დანერგილ სიახლეთაგან მნიშვნელოვანია საბე მასების შრომისა და ენერგიულიის ეკონომიკური, რომელიც თავის წინამორბედზე რამდენჯერმე უფრო მწარმოებლურია. როგორც ამპულების, ისე საბე საამქროში სუსტ ადგილად პროდუქციის შეფუთვისა და მისი კოლოფში ჩაწყობის პროცესი გახლდათ. ბოლოსდა ბოლოს, ეს პრობლემა მთლიანად გადაწყდა. ახლა ავტომატები აბებს თვითონ ითვლიან, აწყობენ კოლოფებში, ფუთავენ და ზედ ეთიკეტებსაც აკრავენ. ჩამოთვლილ ტექნოლოგიურ პროცესებზე წინათ დასაქმებული მუშების გარკვეული რაოდენობა წარმოების სხვა უბნებზე გადავიდა, ნაწილი კი ადგილზეა და ავტომატებს „დარაჯობს“.

ახალი ტექნიკის სიკეთე, ბუნებრივია, ფარმაცევტულმა საამქრომაც „იგემა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექნიკური პროგრესთან დაკავშირებული ყველა აქ განხორციელებული ღონისძიების ჩამოთვლა ძნელია, და ეს არც არის საჭირო. მთავარი ის არის, რომ დანერგილ სიახლეთა უმრავლესობა პარალელურად წყვეტს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს: იზრდება შრომის ნაყოფიერება და ეფექტურობა მუშათა შრომის პირობები. ეს კი ის გახლავთ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ყრილობების მომდევნო პლენუმებზე. ქარხნის კოლექტივის წარმატებებში თვალსაჩინო წილი უდევთ როგორც რეპუბლიკის, ისე ქვეყნის მრავალ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტს. მეცნიერებთან თანამეგობრობით საწარმომ ძალზე სიმაღლისმჭრ წარმატებებს მიაღწია მთელი რიგი ახალი სამკურნალო პრეპარატების ათვისებაში.

ახლა, როცა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა გაერთიანების მეთაური საწარმო გახდა, მისი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ფართოვდება. მასში შემავალი მეურნეობების მიერ დამზადებული ნედლეულისაგან იღებენ აქციიათ პრეპარატს — ტიგოგენინს. ამ უკანასკნელის სინთეზით აქ უნიკალურ ჰორმონალურ პრეპარატებს ამზადებენ. სწორედ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოხდება ახალი გაერთიანების სპეციალიზაცია და მისი წარმოების მოცულობის პერსპექტიული ზრდა. შედეგნილია და ოკეი ხორციელდება გაერთიანების ყველა საწარმოს ავტომატური რეკონსტრუქციის პროგრამა. განახლდება მეთაური ქარხნის საბე-დამფასოებელი და სამპულო საამქროები, რომლებიც პროდუქციის გამოშვებას გაათორკეცებენ. აშენდება აბებისა და ამპულების დასამზადებელი ახალი საწარმოო კორპუსი, გაფართოვდება სასაწყობო მეურნეობა.

განსაკუთრებით ბევრ სიკეთეს მოიტანს რეკონსტრუქცია ბათუმის ფარმაცევტულ ქარხანას. აქ მნიშვნელოვნად, სამჯერ და მეტად გაიზრდება ალოეს წვენის, აბების ტიგოგენინის და სხვა სამკურნალო პროდუქციის წარმოების მოცულობა. მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის თბილისის საწარმოო აგრარული გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატი“ ქვეყნის სამეფოდ ინარ მრეწველობის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაცია გახდება.

გაერთიანების მეთაური ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში. ეს ბრძოლა ეროვნულ-საერთაშორისო ბაზის (დირექტორი — ზ. ძნელაძე) არ ეფლალატნიათ. ასევე ბრძოლა იმართება და საავაჭრო ქსელს აწვდიდა ხელოვნურად დაძვირებულ პერანგებს თბილისის ვაჭრობის სამმართველოს „თბილისტანსაცმელეკავშრობა“ (დირექტორი — ე. ბუაძე). მარტო ამ ორგანიზაციის მუშაკთა დაუდეგრობით დეფიციტურ ბამბეულობას ზედმეტად 2624 მანეთი გადაახდევინეს. და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ამ ორგანიზაციებს საკმაო რაოდენობის შტატიანი საქონელმცოდნეები და ფასების ეკონომისტები ჰყავთ, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას სწორედ ნაწარმოებული დადებული ფასების სისწორის დადგენა წარმოადგენს.

მომხმარებელთა მოტყუებაში არც ცალკეული მაღაზიები ჩამორჩნენ. ამ მხრივ თვალ გამოიჩინეს თბილისის ცენტრალურმა უნივერმაღმა (დირექტორი — ლ. დეკანოსიძე), უნივერმაღმა „თბილისმა“ (დირექტორი — ი. ჯალაბაძე), აგრეთვე „თბილისტანსაცმელეკავშრობის“ № 1, 26, 34 მაღაზიებმა. ამ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა წაყრეებითა და საქმისადმი თავის შეუწუხებლობით მომხმარებლებმა ზედმეტად ათასობით მანეთი გადაიხადეს.

ცხადია, მიმწოდებლებსა და მიმღებებს შორის საქმისათვის ასეთი საზიანო ნდობა, სახელმწიფოს მიერ დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ნამდვილი გამოხატულება გახლავთ. საერთოსახალხო საქმე მოითხოვს, რომ საავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც სამრეწველო საწარმოებიდან მზა პროდუქციას იღებენ, გულდასმით ამოწმებდნენ საქონლის ხარისხსა და მაათზე დადგენილ ფასებს, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საავაჭრო ქსელში ვერ შეაღწიოს არასწორად შეფასებულმა საქონელმა.

სამრეწველო საწარმოებისა და საავაჭრო ორგანიზაციების ურთიერთობის, სამკერვალო ნაწარმის საკალო ფასების დარღვევებისა და მომსახურების გაუმჯობესების სხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ და შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს დარღვევათა და დამახინჯებათა პირველწყაროს აღკვეთას, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ჰასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, ფასების დისციპლინის განმტკიცებასა და გაუმჯობესებას.

ბ. ჩიქვინიძე.

სურათებზე: აბების საფუთავი ავტომატის მოწოდებენ ოპერატორი, სკკპ წევრობის კანდიდატი ნ. ადამაშვილი; აბების დაფასოების უბნის საერთო ხედი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ДРОИС ЗКЕРДЗКЕР ХЕДЕОВНЕБА ЗЕБРЗОДОЗ ЗЕНЕ ЗЕУРИГДЕБА

ПРОГРЕСИВУЛИ ПЕДАГОГИКА

ᲐᲦᲬᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები შეეკრიბნენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად.

საზეიმო განწყობილება სუფეს დღეს რესპუბლიკაში. აღლოდდება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. 1980 წელი მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის გმირობების 35-ე წელი. ოთხმოციანი წლები ჩაივლის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელი შესრულების ნიშნით. ამ დადგენილებებში დასახული პრობლემების გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუმბერაზ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებასთან, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებთან. ამ საქმეში უდიდესი როლი ეკისრებათ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

სესიამ აირჩია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია, განიხილა საკითხი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. დეპუტატებმა დაამტკიცეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები.

სესიაზე აირჩიეს პრეზიდიუმი, შეიქმნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

სესიამ შექმნა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი, აირჩია უმაღლესი სასამართლო.

სესიამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გ. ა. ძიძარია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ო. კობახია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ი. ჯ. უბილავა. (საქინფორმი).

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

თავიდანვე ბევრს მოსწონდა ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „ელასტიკა“ მიერ გამოშვებული მამაკაცის მაქმანიანი ტოლოს პერანგები. ზოგჯერ რიგიკი ადგა მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილ ამ საქმოდ მოდურად შეკერილ და ლამაზ სამოსზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთს მაინც აფიქრებდა და აწუხებდა პერანგების სიძვირე, რადგან ქსოვილის ხარისხი და შეკერილობა აშკარად არ შეეფარდებოდა მის ფასს.

ერთი სიტყვით, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ასეთი აზრსა და წუხილს მომხმარებელი ხმამაღლა გამოთქვამდა, მაღაზიებში გამყიდველებსაც კი ეპყრობოდნენ პერანგის ასეთი მაღალი ფასის გამო. მაგრამ ვინ იყო განმკითხავი, ჩამორიგისა და სიმართლის გამრჩევი და დამდგენი? ასეთი საკითხები, ზოგჯერ ცხარე ლაპარაკიც, რომ იტყვიან, რჩებოდა ხმად მოაღგებლისა ოდაბნოსა შინა. პერანგებზე მოთხოვნილება კი საკმაოდ დიდი იყო და მასზე მომაგრებულ იარლიყზე აღნიშნული ფასი 31 მანეთი (ფაქტობრივად კი 25 მანეთი ღირდა) სრულებით ვერ უშლიდა ხელს მის გასაღებას.

ეხლაღა, ეს ციფრები — „25“ და „31“ მკითხველს ვერაფერს ეუბნება, რადგან გაუგებარია, რატომ იყიდებოდა ქუთაითური პერანგები იმაზე მეტად, ვიდრე მისი ნამდვილი ფასი იყო. იქნებ გამყიდველები ეშმაკობდნენ და გამორჩენის მიზნით ზედმეტს ახდევინებდნენ მყიდველებს? მაგრამ არა, ეს სრულებითაც არ იყო ასე. ამჯერად საავაჭრო მაღაზიების გამყიდველები უცოდვილები იყვნენ მყიდველების წინაშე. ცოდვიანები მხოლოდ სხვები — ძირითადად დამამზადებლები და მომწოდებლები, შემდეგ კი მიიღებნი.

ახლა კი გავიხსენოთ ფრჩხილება და საგნებსა და ფაქტებს თავიანთი ადგილები მივუჩინოთ, კონკრეტულად ვილაპარაკოთ იმათ ცოდვა-ბრალზე, ვინც ჯერ ხელოვნურად აძვირებდა პერანგებს, და შემდეგ იმათზე, ვინც მომაგრებულ იარლიყზე დაწერილ ციფრს „31“ რატომღაც კანონის ძალის დარად მიიჩნევდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმო საავაჭრო ორგანიზაციებს გადიდებულ საცალო ფასიან ნახელავს აწვდიდა. როგორც ფაქტები მოწმობს, ასეთი მოვლენებს, რატომღაც, არავინ ეღობებოდა წინ, ცხადია, პირველი რიგში მომღები ბაზები და ვაჭრობის სხვა ორგანიზაციები ხუჭავდნენ თვალს, არ იყენებდნენ თავიანთ უფლებებს, რომ მკაცრად გაეკონტროლებინათ პროდუქციაზე საწარმოს მიერ დადგენილი ფასები. ყოველივე ამის გამო მაღაზიები მომხმარებელს იმა

კოოპერატორთა პერსპექტივები

გაიმართა ივლისიდან ოქტომბრამდე საბჭოს კრება, რომელშიც განიხილეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის 1979 წლის საქმიანობის შედეგები და მომდინარე წლის ამოცანები პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

აღინიშნა, რომ საქართველოს კოოპერატორებმა წარმატებით დაამთავრეს გასულ, სისტემისათვის საიუბილეო წელი. ივლისიდან 60 წლისთავი კოოპერატორებმა აღნიშნეს ახალი შრომითი წარმატებებით. საქონელბრუნვის გეგმა წარმატებით შესრულდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება როგორც სასუსტასთა, ისე სამეწველო საქონლით. სოფლის საზოგადოებრივი აზრის ობიექტებში ხუთი ათასით და მეტად გაიზარდა დასაჯდომი ადგილების რიცხვი. სისტემის საწარმოებმა შარშან გამოუშვეს 210 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი, ათვისებულია ოცდაათი ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვება, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა.

ამასთანავე კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, ამაღლონ მისი ეფექტიანობა. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ორგანიზაციული და კომერციული მუშაობა, ხშირად ფერხდება სოფლის მოსახლეობის მომარაგება ისეთი საქონლით, რომელიც საკმარისი რაოდენობით არის საწყობებში. სუსტად ინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები, კრძელდება სოციალისტური საკუთრების დატაცების, დახლქვემოდან ვაჭრობის ფაქტები.

კრების მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ამ ნაკოვანებათა აღმოფხვრას.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ივლისიდან გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა.

მიღებულია რესპუბლიკის კოოპერატორთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი (საქინფორმი).

მეხანძრეებმა ბედზე მიასწრეს

დილის 10 საათზე „სურსათმანქანის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შენობიდან, რომელშიც 400-მდე კაცი იყო, ხშირი კვამლის ბოლქვები ავარდა. ხალხი კიბის გასასვლელებს ეცა, მაგრამ ბოლი სწორედ ექედან მოდიოდა. საბედნიეროდ, მეხანძრეებმა დროზე მიუსწრეს და სასწრაფოდ გაიყვანეს ხალხი.

შემთხვევა უმსხვერპლოდ დამთავრდა.

როგორ მოხდა ეს თანამედროვე ექვსსართულიან შენობაში, რომელიც სულ ცხრა წლის წინ აშენდა და აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციით, ელექტრსაჭრობებით, აქვს გამართული სახანძრო კონკანები? ხანძრის სწრაფი გავრცელების მიზეზი ის გახლდათ, რომ დამპროექტებლებს სახანძრო უშიშროების წესების ერთ-ერთი პუნქტი დაუთვალვიათ.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახმენის გაერთიანებულ სხდომაზე მოყვანილი ეს მაგალითი ზუსტად გამოხატავს განსახილველი პრობლემის არსს. ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების ყველა ნორმის დაცვა საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებების დაპროექტებამშენებლობის დროს კანონი უნდა იყოს.

სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს, რომ განსახილველი საკითხს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება ღღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში უმაგალითო მასშტაბის მასობრივი მშენებლობა მიმდინარეობს. ეს ეხება ქალაქებს, სადაც ათასობით ოჯახია ჩასახლებული. ეს ეხება ასევე ეროვნული საწარმოს ძირითადი ამოცანები. საზოგადოება აწარმოებს აგრეთვე ტექნიკურ და მეცნიერულ კვლევას, თვალყურს ადევნებს უცხოეთის ნავთობის კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებას. უზრუნველყოფს ეროვნული კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

დავიცვათ აღმოსავლური ჰაერი

განვიხილავთ კანონის პროექტს

ატმოსფერული ჰაერი გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელ ბუნებრივ პირობებს ქმნის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ატმოსფერული ჰაერის დაცვას. ხორციელდება მნიშვნელოვანი მეცნიერული, ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ღონისძიებანი. ამის ნათელი დადასტურებაა ახლახან პრესაში გამოქვეყნებული კანონის პროექტი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

პროექტში ზუსტად არის განსაზღვრული ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ატმოსფეროს დაცვის რეგულირებაში და სახელმწიფო მართვა ატმოსფერული ჰაერის დაცვაში.

საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობა, დასვენება, შემოქმედებითი საქმიანობა ბევრად არის დამოკიდებული ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დროულად განხორციელებაზე. ამ საკითხს ეხება კანონის მეორე, ყველაზე დიდი ნაწილი. პირველ რიგში დაკანონებულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირებით და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში მათი გათვალისწინებით; საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა გამოიწვევს ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევასთან არის დაკავშირებული, აღჭურვილი უნდა იყვნენ ამ ნივთიერებათა საწმენდი ნაგებობებით, მოწყობილობებით, აპარატებით. თუ ავარიული მდგომარეობის შედეგად ატმოსფეროში გამოიტანებელ ნივთიერებათა გაფრქვევა გადააჭარბებს ნორმატივებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ადგილზე დაუყოვნებლივ აცნობონ ეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს.

კანონის პროექტი მოითხოვს, რომ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენი საწარმოების, ნაგებობებისა და ობიექტების განლაგება-დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა ხდებოდეს სანიტარიულ-ჰიგიენური წესების შესაბამისად. სოფლისა და სატყეო მეურნეობებში გეგმაზომიერად უნდა იყენებდნენ მცენარეთა დაცვის საშუალებებს, ზრდის სტიმულატორებს, მინერალურ სასუქებსა და სხვა პრეპარატებს.

მეტად მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონის 22-ე მუხლი. ამ მუხლით სახელმწიფო აღრიცხვას ექვემდებარება ყველა ობიექტი, რომლებიც ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე არახელსაყრელ გავლენას ახდენენ. ეს კი სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დაგეგმოს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებანი და უზრუნველყოს მათი განხორციელება.

კანონის პროექტი ითვალისწინებს სისტემისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სხვა პასუხისმგებლობას კანონმდებლობის დარღვევისათვის. ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი ვალდებულნი არიან ანაზღაურონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი.

გვაქვს შენიშვნები კანონის პროექტის მიმართ, რომელთა გათვალისწინება, ეფექრობთ, საგებლობას მოუტანდა კანონს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეს.

აუცილებლად მიგვაჩნია ტყის, მწვანე ნარგავების დაცვა-გამოყენებაზე ყურადღების გამახვილება. როგორც ცნობილია, ატმოსფეროში არსებული ბუნებრივი ჟანგბადის 30-40 პროცენტი ტყეზე და მწვანე ნარგავებზე მოდის, ამასთანავე ისინი შთანთქავენ ნახშირორჟანგს. ტყის კანონმდებლობის სფეროში პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ტყე სასიკეთო გავლენას ახდენს ჰაერზე, ატმოსფეროზე. აქვე მითითებულია, ტყე დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, იგი მერქნისა და ტყის სხვა პროდუქციაზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა, რაც ხორციელდება ტყის ჭრით, მისი სამრეწველო ექსპლოატაციით, რომელიც ნორმირებულია. ჩვენს რესპუბლიკაში ეს ნორმები იღებენ, 15-20 პროცენტის ნაცვლად ერთიორად დიდდება. რა თქმა უნდა, ეს ზიანს აყენებს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობას. ამიტომ საჭიროა კანონმდებლობამაც დაავალოს სახელმწიფო ორგანოებს ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით ტყის ჭრის კანონზომიერი ნორმების დადგენა და მათი ზუსტად დაცვა, ტყის აღდგენითი სამუშაოების ფართო მასშტაბით გაშლა.

27-ე მუხლის შინაარსი კანონმდებლობის დარღვევისათვის ბრალეულ პირთა სისტემისსამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის შესახებ ხალხის ფართო მასებისათვის ძნელად გასაგები და ზოგადი ხასიათისაა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მუხლის დასაწყისში ჩამოთვლილი იყოს კანონმდებლობის კონკრეტული დარღვევები, შემდეგ კი როგორც ტექსტში არის, თუმცა უფრო კარგი იქნებოდა ამ მუხლში მითითებული ყოფილიყო ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის რა დარღვევები დაისჯებოდა სისტემისსამართლებრივი წესით, როგორც ეს არის სოციალისტური თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კანონით სისტემისსამართლებრივი სასჯელი ედებათ იმ პირთ, რომლებმაც გამწმენდ მოწყობილობათა ამოქმედებამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ საწარმო. ჩვენი რესპუბლიკის სისტემის სამართლის კოდექსში მხოლოდ ერთადერთი — 251-ე მუხლია, რომელიც ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე ვადით ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სამრეწველო წარმოების ნარჩენებით ჰაერის გაჭუჭყიანებისათვის.

კოსმოსური ერის დაწყებამ დღის წესრიგში დააყენა დედამიწის ახლო სივრცის რადიატიური, ქიმიური და ბიოლოგიური გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონში გათვალისწინებული იყოს ხმაურებიდან გასული კოსმოსური აპარატებით, თანამგზავრებით, ლაბორატორიებით, აგრეთვე მათი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების ნარჩენებით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მომწესრიგებელი ნორმა.

27-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მოვალენი არიან ანაზღაურონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზარალი“, ჩამატოს სიტყვები „ეკონომიკური და ეკოლოგიური“ და იკითხებოდეს: „საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მოვალენი არიან ანაზღაურონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი“. სამოქალაქო სამართლის მიხედვით ზარალი ორგვარია — ნამდვილი ზარალი და მიუღებელი შემოსავალი. ბუნებადაცვითი სამართალიც ორგვარ ზარალს არჩევს — ეკონომიკურსა და ეკოლოგიურს. ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის, ტყის მასივების, თევზის მარაგის განადგურება ან დაზიანება, არამედ გარემოსაც მიაყენოს ზიანი, რაც გავლენას მოახდენს ბუნების თვისებრივ მდგომარეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ე. ი. შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური ზარალი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან — ბუნების მდგომარეობის აღსადგენად საჭირო მატერიალურ-ფულადი დანახარჯებისაგან და გარემოს დანაკლისისაგან, რომელიც ძნელად ან შედარებით შევსებადია და ფულად შეფასებას არ ექვემდებარება. ამიტომ ეკოლოგიური ზარალის ამ ნაწილის ანაზღაურებას საკომპენსაციო კი არა, დასჯითი, გამაფრთხილებელი ხასიათი აქვს.

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანის, განსაზღვრა არ მიგვაჩნია სრულყოფილად. სასურველია, 25-ე მუხლში დამატება „სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევათა დროულად გამოვლენა და ამით გამოწვეული მავნე შედეგების სათანადოდ აღმოფხვრა, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წინაშე საკითხის დაყენება ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

აქამდე ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხების რეგულირება სხვადასხვა საუწყებო ნორმატიული აქტებით ხდებოდა, ვინაიდან არა გვაქვს ერთიანად ამსახველი დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტი. ამიტომ ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონი უდიდეს თეორიული და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტია, რომლის მიღება და შესრულება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის უცილობლად საჭირო პირობის — ატმოსფერული ჰაერის დაცვას გაჭუჭყიანებისაგან.

ა. ლაბარტყავა,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გუნება — სიცოცხლის ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკური ... ეროვნული „სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევათა დროულად გამოვლენა და ამით გამოწვეული მავნე შედეგების სათანადოდ აღმოფხვრა, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წინაშე საკითხის დაყენება ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ“.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ჭურჭიდან

გვეტყობინებენ საქადესისა და ახალი ამბების საქაგენტოს კორესპონდენტები

თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომის საფრთხე!

ნიუ-იორკი 21 მარტი. (საქდესი). მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯში თერმობირთვული ომის შედეგების თემაზე გამართული სიმპოზიუმის მონაწილე ამერიკელ მედიცინის მეცნიერების მოღვაწეთა ჯგუფმა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერისა და საბჭ. ელ. ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

განცხადებაში, რომლის სათაურია „ბირთვული ომის საშიშროება“, კერძოდ ნათქვამია: როგორც ექიმები, მეცნიერები და დაინტერესებული მოქალაქენი, რომლებიც შეშფოთებული არიან საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, რადგან ამ ვითარებაში ბირთვულ ომს სულ უფრო ხშირად წარმოსახავენ „წარმოსადგენ“ შესაძლებლობად, ჩვენ, სამედიცინო და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, იძულებული ვართ კვლავ გაგაფრთხილოთ, რომ ბირთვული ომის, თუნდაც „შეზღუდულის“, შედეგად დაიღუპება, დაიჭრება ან დაავადდება ისეთი ოკრეციედენტო რაოდენობის ხალხი, რომლებიც არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

მთელ მსოფლიოში გავრცელებული რადიაქტიული ნალექი, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, მოწამლავს არემარეს დედამიწის მეტ ნაწილზე მრავალი თაობის სიცოცხლის განმავლობაში, და ატმოსფერული ზემოქმედება სერიოზულ ზიანს მიაყენებს ყოველივე ცოცხალს.

ამიტომ, ვისწრაფვით რა დავიცვათ კაცობრიობის სიცოცხლე, ჩვენ მოგმართავთ განცხადებით:

1. დაიცხრეთ დაძაბულობა, რომელიც ამჟამად შეიმჩნევა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში.

2. აკრძალეთ ყოველგვარი ბირთვული იარაღის გამოყენება.

3. აღიარეთ ორი ქვეყნის უზარმაზარი ბირთვული არსენალების თვით არსებობასთან დაკავშირებული საფრთხე და შეუდექით მათს ლიკვიდაციას.

ეს განცხადება, ხაზს უსვამენ ავტორები, ნაკარნახევია იმით, რომ ჩვენ გვესმის, როგორც დამღუპველ შედეგებს მოუტანს ბირთვული აფეთქებანი ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში როგორც აფეთქების რაიონში მყოფ, ისე მისგან მნიშვნელოვნად დაშორებულ ადამიანებს, მიწის რადიაქტიური მოწამვლისა და პლანეტის ტემპერატურაზე, მის გარემომცველი ოზონის ფენასა და შესაბამისად ორგანული ცხოვრების ყველა ფორმაზე დამანგრეველი ზემოქმედების შედეგად.

მეცნიერები განცხადებას ამთავრებენ მოწოდებით:

ჩვენ ამთავითვე უნდა შევუდგეთ მოქმედებას, რათა თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომი.

მონაწილეობა მიიღეთ დემოკრატიულ პროცესში, რათა ამთავითვე ავიცილოთ თავიდან ბირთვული ომი!

ამ განცხადებას ხელი მოაწერა 654 თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერებისა და მედიცინის მოღვაწემ.

ამერიკელ მეცნიერთა განცხადება

ზიმბაბვეს პროგრამა

ნიუ-იორკი, 21 მარტი. დამოუკიდებელი ზიმბაბვე დაიკავებ მიუმხრობლობის კურსს, მეგობრულ ურთიერთობას დამყარებს ყველა ქვეყანასთან, განაცხადა ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის წარმომადგენელმა ჯერ კიდევ დაძაბული ვითარებაა ომასთან დაკავშირებით, რომ მთელ რიგ სასოფლო რაიონებში კვლავ მოქმედებენ მუზორიანები „ერძო არმიის“ რაზმები, რომლებიც ტერორით ემუქრებიან მოსახლეობას.

ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ნორმალური ცხოვრება, აღვადგინოთ საწარმოების მუშაობა, გავხსნათ სკოლები, საავადმყოფოები, დაუმშვიდეთ და მიტოვებული მიწების ნაწილს დავურიგოთ აფრიკელ მოსახლეობას, აღნიშნა ტ. კანგაიმ. ჩვენ ვეცდებით შევქმნათ მრავალრასობრივი საზოგადოება, სადაც თანაბარი უფლებით ისარგებლებენ სხვადასხვა ფერის კანის ადამიანები.

საერთაშორისო სასამართლოს სხდომა

ჰაააბა, 21 მარტი. აქ მიმდინარეობს საერთაშორისო სასამართლოს სხდომები იმ „საქმის გამო, რომელიც შეერთებულმა შტატებმა აღძრა ირანის წინააღმდეგ თეირანის ამერიკის საელჩოს ხელში ჩაგდების და მის თანამშრომელთა მძევლად აყვანის გამო. ირანის მხარე ბოიკოტს უცხადებს სხდომებს.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყოტბზადემ სასამართლოს წევრებისადმი წერილში განაცხადა, რომ ირანის მთავრობის მძევლების საკითხი მიაჩნია იმ რთული პრობლემის მრავალ ასპექტის მხოლოდ ერთ საკითხად, რომელიც ირანის სამშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების 25 წლის უბოდიშო ჩარევის, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ძარცვისა და იმ დანაშაულობების შედეგად შეიქმნა, ირანელი ხალხის წინააღმდეგ, რომ სჩადიოდა ვაშინგტონი შაჰის დესპოტურ რეჟიმთან ერთად საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმისა და კანონიერების საწინააღმდეგოდ.

სასამართლოში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ყოველნაირად ცდილობდა გავამართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების ანტიხალხური იმპერიალისტური პოლიტიკა ირანის მიმართ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: ამერიკის მხარის განცხადებანი ვერ შეესატყვისება ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, როგორიც არის ამერიკის ბანაკებსა და მათს სანაპიროებზე ჩადგმული ბირთვული ბომბდამშვები, რაც ხორციელდება ტყის ჭრით, მისი სამრეწველო ექსპლოატაციით, რომელიც ნორმირებულია. ჩვენს რესპუბლიკაში ეს ნორმები იღებენ, 15-20 პროცენტის ნაცვლად ერთიორად დიდდება. რა თქმა უნდა, ეს ზიანს აყენებს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობას. ამიტომ საჭიროა კანონმდებლობამაც დაავალოს სახელმწიფო ორგანოებს ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით ტყის ჭრის კანონზომიერი ნორმების დადგენა და მათი ზუსტად დაცვა, ტყის აღდგენითი სამუშაოების ფართო მასშტაბით გაშლა.

27-ე მუხლის შინაარსი კანონმდებლობის დარღვევისათვის ბრალეულ პირთა სისტემისსამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის შესახებ ხალხის ფართო მასებისათვის ძნელად გასაგები და ზოგადი ხასიათისაა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მუხლის დასაწყისში ჩამოთვლილი იყოს კანონმდებლობის კონკრეტული დარღვევები, შემდეგ კი როგორც ტექსტში არის, თუმცა უფრო კარგი იქნებოდა ამ მუხლში მითითებული ყოფილიყო ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის რა დარღვევები დაისჯებოდა სისტემისსამართლებრივი წესით, როგორც ეს არის სოციალისტური თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კანონით სისტემისსამართლებრივი სასჯელი ედებათ იმ პირთ, რომლებმაც გამწმენდ მოწყობილობათა ამოქმედებამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ საწარმო. ჩვენი რესპუბლიკის სისტემის სამართლის კოდექსში მხოლოდ ერთადერთი — 251-ე მუხლია, რომელიც ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე ვადით ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სამრეწველო წარმოების ნარჩენებით ჰაერის გაჭუჭყიანებისათვის.

ვაშინგტონი „ჩინურ კოზირს“ ხმარობს

ვაშინგტონი, 21 მარტი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენძინი, რომელიც აქ ვიზიტად არის ჩამოსული, შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს უ. მონდეილს. აქამდე იგი ეთათბირებოდა საელმწიფო მდივანს ს. ვენსს და შეერთებული შტატების სხვა მაღალი თანამდებობის მოღვაწეებს.

ამერიკის ოფიციალური პირნი თითქმის არაფერს არ იუწყებიან ჯან ვენძინის მიერ ამერიკაში გამართული მოლაპარაკების შინაარსის შესახებ. პრესის აზრით, ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ვაშინგტონს სურს შეგნებულად დააკნინოს ვიზიტის დროს გამოცხადებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა, რომელიც ეხება ჩინეთისათვის ამერიკული აღჭურვილობის მიყიდვას. ეს აღჭურვილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მიზნებისათვის, კერძოდ, ტელეკომუნიკაციათა სისტემები და „U-130“ სატრანსპორტო თვითმფრინავები. ამ გადაწყვეტილების გამოცხადებისას საგანგებოდ აღნიშნავდნენ, ეს ტექნიკა „საიერიშო არ არის“.

ტოკიო, 21 მარტი. როგორც გაზეთი „მაინიტი“ იუწყება, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სამხედრო თანამშრომლობაში თვისებრივი შემობრუნება მოხდა“. პეკინის მიზანია შექმნას „საბჭოთა კავშირის გარემოცვის ქსელი“, აღნიშნავს გაზეთი.

პოპულარობა ეცემა

ლონდონი, 21 მარტი. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის არც ერთი მთავრობა არ კარგავდა ასე სწრაფად პოპულარობას ინგლისელების თვალში, როგორც მ. ტეტჩერის ახლანდელი კონსერვატიული კაბინეტი. ამას დამაჯერებლად მოწმობს აქ გამოქვეყნებული შედეგები საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვისა, რომელიც გელაპის ინსტიტუტმა მოაწყო.

გამოკითხულთა 59 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იწონებენ კონსერვატორთა პოლიტიკას. დაახლოებით 50 პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის ლეიბორისტულ პარტიას და გამოკითხვის მონაწილეთა მხოლოდ 37 პროცენტმა უპირატესობა მიანიჭა კონსერვატორებს. პრესის აზრით, დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მკვეთრად დაეცა თვით მ. ტეტჩერის პოპულარობა. ინგლისელთა 56 პროცენტმა, რომლებიც უპასუხებდნენ ინსტიტუტის თანამშრომელთა შეკითხვებზე, აღნიშნა, რომ მათ „იმედი გაუცრუა“ პრემიერ-მინისტრის საქმიანობამ.

გერმუდესის კუნძულებს — დამოუკიდებლობა

ნიუ-იორკი. პატარა და დამოკიდებული კოლონიური ქვეყნებისა და ტერიტორიების ხალხები იბრძვიან მეტროპოლიების ჩაგვრისაგან უსწრაფესად განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, თანაბრმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ოცი წლის წინათ საბჭოთა კავშირის ინიციატივით მიღებული ისტორიული დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტის გამოქვეყნებული სამუშაო დოკუმენტიდან ჩანს, ამის ერთ-ერთი მაგალითია ბერმუდესის კუნძულების დემოკრატიული წრეების მოძრაობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

ბერმუდესის კუნძულები — ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულების ჯგუფი — დიდი ბრიტანეთის უძველესი კოლონიური სამფლობელოა. ლონდონმა ტერიტორია ხელში ჩაიგდო ჯერ კიდევ 1684 წელს.

დღეს, ბრიტანეთის გვირგვინის თითქმის სამასი წლის მმართველობის შემდეგ, ბერმუდელი ხალხის წინაშე მდგარი საარსებო პრობლემები სულაც არ არის გადაჭრილი. ეკონომიკა პრაქტიკულად განუვითარებელია, ხოლო ყველა კუნძულელისათვის სამართლიანი ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა, როგორც დოკუმენტის ავტორები მოწმობენ, მომავლის საქმედ რჩება.

ამასთან ერთად აქ განლაგებულია ნატოს წევრი ქვეყნების მთელი რიგი სამხედრო ბაზები. ინგლისის სამხედრო ნაგებობათა გარდა სამხედრო ბაზას ინარჩუნებს აგრეთვე კანადა.

შეერთებულ შტატებს აქ აქვს ორი ბაზა —სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო, რომლებსაც ერთად ბერმუდესის კუნძულების მთელი ტერიტორიის მეათედი უკავიათ.

ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვს ოპოზიციური პროგრესული ლიბორისტული პარტია. მისი ლიდერი ლოის ბროუნ-ევენსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერმუდესის მმართველი პროიმპერიალისტური აგრეთიანებული პარტია „იცავს კოლონიალიზმს დემოკრატიის საზიანოდ“. მაგრამ კუნძულების მცხოვრებთა უმრავლესობა მოითხოვს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაწყდება საარსებო პრობლემები, რომლებიც ბერმუდესის კუნძულების მოსახლეობის წინაშე დგას.

უცხოური მოზაიკა

გამამხიარულებელი ფარანი

სანფრანცისკო ქალაქ შერბურის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, ამიერიდან ქუჩის ფარნები არა მარტო ანათებდეს, არამედ... ამხიარულებდეს კიდეც ადამიანს. ამიერიდან ფანჯრებზე დახატავენ სასაცილო სახეებს. სპეციალისტების აზრით, ამ ღონისძიებამ მოქალაქეები კარგ გუნებაზე უნდა დააყენოს და ჩაუნერგოს ოპტიმიზმი, რაც ასე მნიშვნელოვანია ცხოვრების სიძვირისა და უმუშევრობის ზრდის პირობებში.

ოქროს მაძიებელთა ხვედრი

ამერიკელი როჯერ ლიუსი და მისი 20 წლის საცოლე დინნუ ჰარისი, რომლებიც შეიპყრო ალიასკაში გავრცელებულმა ახალმა „ოქროს ციებ-ცხელებამ“, ავანტიურულ მოგზაურობას ნავით შეუდგნენ. ძლიერმა ქარმა მათი ნავი გადაბრუნა და ძლივს გასცურეს ნაპირამდე. 18 დღეს დაჰყვეს „ოქროს მაძიებლებმა“ ძლიერ ყინვაში ულუქმაპუროდ. მათ მოახერხეს მგლის მოკვლა და მისი ტყავით შეიმოსნენ. ნებისყოფამ და მოხერხებამ გადაარჩინა ახალგაზრდები. ისინი აიყვანა ვერტმფრინავმა, როცა შეამჩნია თოვლზე ტოტებით მოხატული ნიშანი „SOS“!

„უნიკალური“ ოჯახი

მართლაც უნიკალური შეიძლება ეწოდოს დუბლინში მცხოვრებ მაკდონელების ოჯახს. 1956 წლის 29 თებერვალს ქრისტინე მაკდონელმა შვა ტყუპები. ზუსტად ოთხი წლის შემდეგ — 1960 წლის 29 თებერვალს ქალაქ ტყუპები შეეძინა.

„ჩვენ ბევრი ფული გვეზოგება ბავშვების საჩუქრებზე — ხუმრობს ქრისტინე — ჩვენი ოთხივე ბავშვი დაბადების დღეს ოთხ წელიწადში ერთხელ აღნიშნავს“.



პროტესტი უმუშევრობის წინააღმდეგ

ამ სურათზე აღბეჭდილია ჰაერში გადმოკიდებული 35 წლის პუიგსერდელი (ესპანეთი), მოქალაქე უმუშევარი ხოსე რამონ პახარესი. მან თავი მიბა საჰაერო გზის ბაგირზე და ასე 10 საათი დაჰყო რვასართულიანი სახლის სიმაღლეზე. პახარესი უურადღებას არ აქცევდა არც პოლიციისა და არც მეხანძრეთა მუქარას, როდესაც ძირს ჩამოვიდა, განაცხადა, რომ გადაწყვეტა ამ სახით გამოეთქვა პროტესტი უმუშევრობის წინააღმდეგ.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲛᲗᲘᲡᲑᲖᲔ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ

თიანეთური ჩანახატები

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲧᲘᲡᲘ

ᲓᲐᲑᲐ თიანეთის განაპირა უბნიდან ტრაქტორების და ამწეების ხმაური მოედო არემარეს. თოვლიან მინდორზე მსხვილი ყალიბის მილებს ერთ ხაზზე აწყობდნენ და ერთმანეთთან აერთებდნენ.

1980 წლის 24 თებერვალი იდგა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. დილაუთენია მოიხადეს საბჭოთა მოქალაქის ვალი ამ უბანში მომუშავე ადამიანებმა. ამ კვირა დღის მათ სრული უფლება ჰქონდათ დაესვენათ, მაგრამ მაინც შრომა ამჯობინეს. ეს მათი მუშაობის პირველი დღე გახლდათ — სუსხიან ამინდში ეყრებოდა საფუძველი დიდ საქმეს: იწყებოდა ბუნებრივი გაზსადენის გაყვანის სამუშაოები. საქართველოს გაზიფიკაციის სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის 12-კაციანმა კომპლექსურმა ბრიგადამ ენერგიულად დაიწყო ეს დიდი საქმე.

—რა მასშტაბის სამუშაოები გაქვთ ამკამად შესასრულებელი და როდისთვის მიიღებს ბუნებრივ გაზს დაბა თიანეთი? — ვკითხეთ სამუშაოთა მწარმოებელს პავლე გეგეშიძეს.

— გაზსადენის ქვების წყაროსთან ახალი მონაკვეთის მიერთება ერინგალის მახლობლად მოხდება. მისი სიგრძე 19 კილომეტრი იქნება. 700 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულოთ. 5 კილომეტრის სამყოფი მილები უკვე შემოვიტანეთ, თანდათან შემოვზიდავთ დანარჩენებსაც. გაზაფხულზე მილების ჩაწყობას დავიწყებთ არაგვის ხეობის მხრიდანაც, შევუდგებით დაბაში გაზიფიკაციის ქსელის მოწყობის სამუშაოებს. მომავალი წლის დამდეგისათვის თიანეთელები ბუნებრივ გაზს მიიღებენ.

— რას გვეტყოდით თქვენს შრომითს კოლექტივზე?

— გვყავს გამოცდილი მუშაკები. შემდუღებელ ბორის ვეშაგურს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იცნობენ ქალაქსიოონზე სტავროპოლის გაზის მაგისტრალის გამოყვანის სასახელო საქმეებით. მემონტაჟეების ბრიგადას ხელმძღვანელობს ასევე მდიდარი გამოცდილების მქონე გოდერძი მღებრიშვილი, ხოლო მექანიზატორთა ბრიგადას — ვასილ ოქრუაშვილი. კარგი, საიმედო კოლექტივია. ვფიქრობთ, თავს არ შევირცხვენთ.

ვის არ აფიქრებს თოვლით დაფარულ მთა-გორებზე წამოქოჩრილი თიანეთის მდიდარი ტყეების მომავალი. თხევადი გაზის გამოყენებამ რაიონს წელიწადში საშუალოდ 15-20 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე დაუზოგა, ერთი ამდენი დაიზოგება მას შემდეგ, რაც დაბა ბუნებრივ გაზს მიიღებს, ხოლო მომავალში ბუნებრივი გაზით თიანეთის სოფლების უზრუნველყოფა საერთოდ მოსპობს ჩვენი ტყეების გამეჩხერებისა და განადგურების საფრთხეს.

პ. იოსებიძე.

ᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘ

ᲘᲡ თოვლიანი დღე არასოდეს დაავიწყდება ქსენია კოტოშაშვილს. თიანეთის რაიონის ირწყს საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მწველავი ქალი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. მასთან კრებაზე გატარებული წუთები მღელვარებით იყო აღსავსე, ეუხერხულებოდა — „ასე მოულოდნელად — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში?“ — ფიქრობდა იგი.

ბრუნდებოდა ქსენია სახლში და თოვლზე მოძალებული მზის ნათელი თვალებს ტკენდა. ათასი ფიქრი აეკვიატა.

...გაჭირვებით გაიზარდა. მამამ ოჯახი მიატოვა. დედა უშვილდა დედობასაც და მამობასაც. სწავლობდა, შრომობდა მეურნეობაში, გამრჯე და პატიოსანი გოგოს სახელი ჰქონდა. მოწონავე მექანიზატორ გ. კოტოშაშვილზე დაქორწინდა. შრომამ ჩაყარა და გაუმკვრივა საძირკველი მათს ოჯახს, სადაც სამი შვილი აღიზარდა. უფროსს მერაბი ჰქვია, სამხედრო სამსახური დაასრულა, დაქორწინდა და მეურნეობის ავტომანქანაზე დაიწყო მუშაობა, ლიანას 1980 წლის იანვარში გადაუხადეს ქორწილი — იგი მეზობელ სოფელ ციბოტაში გათხოვდა. ნუგზარი ხელოვნურსოფლის საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასშია. მთელ სოფელს სჯერა, რომ ქსენია კოტოშაშვილის შვილები სინდისნამუსს არასოდეს არ უღალატებენ, შრომისმოყვარე ადამიანის სახელს დაიდებენ და მარტოხელა დედას (ქსენიას მეოღლე უდროოდ დაეღუპა) არასოდეს შეარცხვენენ.

ძნელია ქსენიასათვის ზაფხულში ოჯახის მიტოვება და საზაფხულო იალაღებზე ფურების საწველად წასვლა. ათასი რამ არის მისახედი — ოჯახი, ნათესი და ნახნავი, ფრინველი, პირუტყვი, მაგრამ საზოგადო საქმეს არ ეღალატება და ქსენია, აგარ ქვიდი წელიწადია, ფერმაში მუშაობს. მთელ მინდომებას აქსოვს საქმეში. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ფურის საშუალო წლიური წველადობა 560 კილოგრამით გაზრდილა. (მარტო 1979 წელს 400 ცენტნერი რძე მიიღო საგეგმო 328 ცენტნერის ნაცვლად. მან მეურნეობაში პირველმა შეძლო შეემცირებინა რძის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით. ცენტნერი რძე გასულ წელს ნავარაუდევი 37 მანეთის ნაცვლად 34 მანეთი დაუჯდა. 1980 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერად დაიწყო. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10-15 პროცენტით მეტ რძეს იღებს, ეს კი მომავალ გამარჯვებათა უტყუარი საწინდარია.

ქსენია კოტოშაშვილი ახლა იმაზეც ფიქრობს, როგორც დეპუტატმა რა შემატოს მეურნეობაში შემავალ სოფლებს, სად რისი გაკეთებაა აუცილებელი და შესაძლებელი.

გ. პატარაია.

ᲒᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲤᲔᲚ ციბოტის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის 1980 წლის ძვირფასი სახუქარია ახალი, ლამაზად ნაგები ორსართულიანი სკოლის შენობა.

ახალი სკოლის ნათელი საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები სულ მალე აღიჭურვება საჭირო ხელსაწყოებითა და თვალსაჩინო მასალებით. ამიერიდან ციბოტელ მოსწავლეებს საშუალება აქვთ ივარჯიშონ ქეთილმოწყობილ სპორტულ დარბაზში.

პარტიისა და მთავრობის ასეთი მზრუნველობა სოფლის მშრომელებს ახალ-ახალ სასახელო საქმეთა საკეთებლად ალაფრთოვანებს. მთავარი და უფრო არსებითი კი ის არის, რომ მეათე ხუთწლედმა არა მარტო ციბოტას, არამედ რაიონის თითქმის ყველა სოფელს და დაბას დააჩნია კეთილი კვალი.

სწორედ ამ წლებში დაიწყო და მიმდინარეობს ივრის ჯებირის მშენებლობა, რომლის შედეგადაც უკვე ასობით ჰექტარი მიწის სავარგული ჩადგა ხალხის სამსახურში.

ხუთწლედის დამდეგს ახალი, თანამედროვე ტიპის სკოლა აშენდა სოფელ ზარიძეებში; განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგრძნობია დაბა თიანეთის აღმშენებლობანი, რის შედეგადაც მის უბნებს შეემატა მაუდკამოლის საწარმო, ავტომარაფელაქტორიუმი და ბენზინგასაწყობი. კეთილმოწყო სანაპირო ქუჩა, რომელიც ახლა 40-ბინიანმა საცხოვრებელმა სახლმა დაამშვენა.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონში დაახლოებით 12 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა. რაიონის მშრომელთა სიკეთისა და ბედნიერებისათვის კვლავაც ბევრის გაკეთებაა გათვალისწინებული.

ქ. ქებნიაური.

ᲞᲝᲭᲝᲠᲛᲔᲕᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ სოფელი ბოჭორმა თიანეთის რაიონში ერთ-ერთი ინტერნაციონალური სოფელია — აქ ქართველების გვერდით საერთო-სახალხო საქმისათვის თავდადებით იღვწიან და შრომობენ ოსებიც.

1980 წლის თებერვალში ფრთა შეესხა ბოჭორმელთა დიდი ხნის ოცნებას — დამთავრდა საზოგადოებრივი ცენტრის ლამაზი, კეთილმოწყობილი შენობის აგება, სადაც არჩევნებისწინა დღეებში საზეიმოდ გაიხსნა სასოფლო კულტურის სახლი.

ზეიმზე მოვიდა მთელი სოფელი, აქვე იყვნენ № 88 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლები, რომელთაც ააშენეს ეს შესახსენებელი ნაგებობა.

ხარობს მადლიერი სოფელი. ამიერიდან ბოჭორმელები ნახავენ საინტერესო კინოფილმებს, კონცერტებს და წარმოდგენებს, ექნებათ საშუალება ისარგებლონ საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ომსახურებით. მათ განკარგულებაში აგრეთვე კეთილმოწყობილი სამედიცინო პუნქტი.

ლ. კილაძე.

ᲛᲔᲘᲜᲓᲐᲣᲠᲔᲝᲠᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ და საექსპლოატაციოდ გადაეცა გონდაურის მეინდაურეობის ფაბრიკა, რომელიც 25 ათას ფრთა ფრინველს გამოზრდის. (ახალმწოფოს ყოველწლიურად ჩაბარდება 120 ტონაზე მეტი ხორცი და 40 ათასამდე კვერცხი.

სულ მალე საინკუბაციოდ პირველად ჩაეწყობა 10 ათასი ცალი კვერცხი და რამდენიმე თვეში ადგილობრივი მოახმარებელი თვეში მიიღებს პირველ პროდუქციას.

ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲯᲝᲠᲯᲘᲝᲜᲘ მჯდარმა -მოხუცმა თებერვლის იმ მზიან დღეს ივანზე ამოსული სიძეს თითქოს ყასდადად ჰკითხა: — რა რიცხვია დღეს, მგონი ოცდახუთი, არა?

— ჰო, — კვერი დაუკრა სიძემ, — გოგიც ორმოცდაცხრამეტის უნდა გამხდარიყო, არა?

მოხუცმა თავი დაუქნია უხმოდ და სადღაც შორს გაიხედა ამოკიდული თვალით.

დაღლილი და სასოწარკვეთილი ჩანდა იგი. „მოტყდა“ — გაიფიქრა სიძემ სიმამრზე.

ჯიჯღეთში ცხოვრობენ სიძე-სიმამრი. სიძეს — ლუკა მაისურაძეს ხუთი შვილი ჰყავს, ამ ხუთსაც — ხუთი შვილი, სიმამრს — მოხუც ლეონ ჯანგირაშვილს კი ვერაფერმა მოუშუშა გულის იარა, მოლოდინში დაბერდა, ოთხმოცდაცამეტი წლისაა უკვე. მეერდზე სკემს ჰაფარა წვერი, ნაბიის ქუდიდან დასხლტილი თმები და წარბებიც გათეთრებია.

სახლს იქით ახოებით აჭრილებული ფერდობი მოჩანს, ალაგ-ალაგ წარფეები პირდაპირ ეზოებამდე აღწევენ. ფერდობებს ზევით ხმარი ტყეა, ხოლო უფრო მაღლა — დათოვლილი ალპური მთები. სახლთან ახლოს, აქა-იქ მზეს უკვე აუოლია თოვლი.

— ჩანს, ამ გაზაფხულის თესვას კიდევ შევესწრები, — ამბობს პაპა ლევანი და გამხდარ ხელებს კვირისტავებზე ილაგებს, თან თვალმოუშორებლად გაჰყურებს ახოებს. ლუკამ იცის რისი თქმაც უნდა სიმამრს. ეხადია, მისი ფიქრი ისევ გოგის დასტრიალებს.

1941 წლის აპრილი იდგა. თეთრად გადაპენტილი ტყიმლები მწვანედ აფეთქებული ტყეებისა და მინდვრების ფონზე პატარძლებივით კოხტაობდნენ.

„მამა, თესვას დავეშეროთ, თორემ ჯარში წასვლის დრო ახლოვდება. დასათესი რომ დაგრჩეს, ხარის გამრეკიც არავინ გეყოლება“, — აჩქარებდა თორმე გოგი მამას.

...ეს სიძემაც იცის და რაკი ლევანი ამბობს, ამ გაზაფხულის თესვას კიდევ შევესწრებიო, იმას ნიშნავს, რომ ისევ ერთადერთ ვაჟიშვილზე ფიქრი დატრიალებს თავს.

გოგის ჯარში წასვლის დღეც დადგა. შვილმა ჩვეულებისამებრ წყალი გაპარსა მამას.

ძალიან კი შევეჩვიეთ მამი ერთმანეთის დალაქობას, მაგრამ მე რომ წავალ, მერე ვიღას გააპარსენებ? — ჰკითხა ბიჭმა.

— შენს ჩამოსვლამდე არ გავიპარსავ, შვილო, — მიუგო მამამ.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. მეერდზე სკემს წვერი მოხუცს, მაგრამ მაინც უცდის შვილს დაბრუნებას.

ი. პატარაშვილი,

გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი.

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲯᲕᲐ ᲐᲙᲕᲐᲜᲘ

ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲯᲘ შვილით ხარობს ციბოტელი ქალი ქენია საღირიშვილი. მისი უმცროსი შვილი — რამაზი პირველ გაზაფხულს ეგებება და ჯერ ისევ ავნენდან უცინის დედას, უფროსი — მარინე კი ოცდაერთი წლისაა. სხვები?

ერთნი მუშაობენ, მეორენი სწავლობენ, სხვანი ჯერჯერობით მამისეულ სახლს „ჭერს ხდიან“ მხიარული ერთობლივით.

სვემაღალია ოჯახი. მის ბედნიერებას კიდევ უფრო აათკეცებს პარტიისა და მთავრობის მეურნეველი ყურადღება და მზრუნველობა.

ახლახან, საბჭოთა საქართველოს დღესასწაულის საზეიმო დღეს, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა ბედნიერ ოჯახში: „ქენია საღირიშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გმირი დედის საპატიო წოდება მიენიჭა.

თ. ცალუღელი.

სურათზე: თიანეთის საზაფხულო საძოვრებზე.

ᲞᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲚᲦᲘᲡᲨᲘ

ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲡ ᲣᲐᲠᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ მოყვარულ მოცურავეთა კავშირი მხარს არ დაუჭერს თავისი მთავრობის მოწოდებას ბოიკოტი გამოუცხადონ მოსკოვის ოლიმპიადას. ასე გადაწყვიტეს ამ კავშირის მელბურნში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე. აქ განიცხადეს, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში უთუოდ იასპარეზებენ ავსტრალიელი მოცურავენი, წყალმტრამელები და წყალბურთელები.

ᲛᲔᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲔ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მაღაზია „ოლიმპიადა-80“-ის მეასიათასე მყიდველს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ ტურისტს ინჟინერ ოტო ბიტნერს გადასცეს დათენია მოსკოვის 22-ე ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობების სიმბოლო.

საბჭოთა კავშირიდან რომ დათენია არ ჩავიტანო, ამას შეიძლება სერიოზული ოჯახური უსიამოვნება მოჰყვეს, ღიმილით ამბობს ოტო ბიტნერი. ოლიმპიადა სპორტის მსოფლიო დღესასწაული იქნება. ეჭვს გარეშეა, ოკეანისგადმელთა მოწოდებებს ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე მხარს არ დაუჭერენ.

მაღაზია „ოლიმპიადა-80“-ს, რომელიც სამი თვის წინათ გაიხსნა, კარგად იცნობენ თბილისელები და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრები. აქ მათ სთავაზობენ ოლიმპიადის სიმბოლიკით შემკულ სხვადასხვა საქონელს — ფოტოაპარატებსა და მაგნეტოფონებს, სპორტულ კოსტიუმებს, კალენდრებს, კერამიკულ ნაკეთობებს, ავტოკალმებს შენარჩუნებულ ალბომებს, სამკერდე ნიშნებს... დიდი პოპულარობით სარგებლობს ოლიმპიური დათენიაც. მაგრამ ბელორუსიის ქალაქ გომელის სათამაშოების ფაბრიკა მას არასაკმაო რაოდენობით გვიგზავნის თქვა მაღაზიის დირექტორმა გ. აჯამელაშვილმა. უცნაურია, რატომ არ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს თბილისის სათამაშოების ფაბრიკამ, ხომ შეეძლო, მაგალითად, თბილისის კერამიკულ კომბინატს გამოეშვა ოლიმპიადის სიმბოლიკით შემკული ყავის სერვიზი „ნონა“, რომელმაც მყიდველების ზალელი შეფასება დაიმსახურა.

უფრო მეტს ველით გაერთიანება „სოლანისი“ და საერთოდ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისაგან, რომლებიც ჯერ-ჯერობით ოლიმპიურ სუვენირებს უმნიშვნელო რაოდენობით გვაწვდიან. (საქინფორმი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲛᲔᲠᲒᲔ პარტიას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან გამოიწვია მეტოქეთა მისწრაფება მწვავე ბრძოლისაკენ. გურიელი, ბასაგანია, მხოლოდ მოგებას ისწრაფოდა. მან აირჩია რეტის დებიუტი, შემდეგ კი, როგორც ეს დამახასიათებელია თანამედროვე სატურნირო თუ სამატჩო პრაქტიკისათვის, მოხდა თავისებური ტრანსფორმაცია — დაფაზე წარმოიქმნა ძვირფასეული დაცვისათვის ტიპური პოზიცია.

გურიელი მეტოქეზე მეტს ფიქრობდა. მას შემდეგ, რაც დასაწყისით უპირატესობა ვერ მიიღო, იგი ყოველნაირად შეეცადა გაემწვავებინა პოზიცია. იმის გამო, რომ გაფრინდაშვილის ფიგურები სტრატეგიულად ხელსაყრელ ოჯრებზე იყვნენ განლაგებული, თეთრები ვერაფერს გახდნენ. მე-13 სვლით გურიელმა დაუცველი დატოვა (ენტრალური პაიკი. ეტყობა, იგი მოელოდა, რომ შავები მის მოგებას მოერიდებოდნენ. მაგრამ გაფრინდაშვილმა არა მარტო მოიგო ეს პაიკი, არამედ სულ მალე რამდენიმე გარეგნულად მარტივი, მაგრამ მეტად ძლიერი სვლით დიდი უპირატესობაც მიიღო. მალე თეთრების ლაზიერი, რომელიც შავების განლაგებაში შეიჭრა, ფაქტობრივად თამაშიდან გამოეთიშა. ამით კარგად ისარგებლა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, რომელმაც პირდაპირი იერიში დაიწყო ნაკლებად დაცულ თეთრ მეფეზე. ჯერ მხედარი, შემდეგ კი ეტლი გურიელის განლაგებაში შევიდნენ, მისი მეფე გარემოცული იყო, თანაც თეთრები ძლიერ ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. ამიტომ 27-ე სვლაზე თეთრებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ — ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲒᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ



ამ პოზიციაში გურიელმა ითამაშა 13. ლb3. ბრძოლა ასე გაგრძელდა 13. ... კ:d3 14. ედ1 e4 15. მe1 მb6 16. მ:d3 ed 17. მe3 a5 18. ლb5 ედd8 19. კf1 მe5 20. მფg2 ლe6 21. b3 მd5 22. მ:d5 ე:d5 23. ლ:b7 მf3 24. c4 ეh5 25. მფ:f3 კ:a1 26. კ:d3 ეh2 27. კf4 h5. და თეთრები დანებდნენ.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲡᲐᲗᲣ. კისლოვოდსკი. ახმილოვსკაია-ალექსანდრიას მეცხრე პარტია კვლავ გადატანილია. ახმილოვსკაიამ ბოლო, მესამე ტაიმ-აუტი აიღო. პარტია 23 მარტს უნდა გაიმართოს.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲗᲐᲛᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 22 მარტს იუგოსლავიის ქალაქ სენტაში იწყება ევროპის თასის IV გათამაშების 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. როგორც ცნობილია, ამ თასის (ეს იგივეა, რაც კონტინენტის ჩემპიონატი) II და III გათამაშებებში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ნინა იოსელიანმა, რომელიც ზედიზედ ორჯერ დაეუფლა სპატიო ჯილდოს. ნინა იოსელიანს წლეულსაც ჰქონდა ევროპის თასზე გამოსვლის უფლება, მაგრამ იგი ხომ ახლა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია და საცაა ბრძოლაშიც ჩაებმება ვერეცი-პეტრონიჩის (უნგრეთი) წინააღმდეგ. ახლა საბჭოთა კავშირიდან ამ შეჯიბრებაში გამოვა ქვეყნის ორგზის ჩემპიონი გოგონათა შორის, ოსტატობის კანდიდატი თამილა მესხი (ქუთაისი).

გაზეთ „სპორტსკოე ნოვოსტის“ ცნობით, ამ შეჯიბრებაში, რომელიც 6 აპრილამდე გასტანს, ითამაშებენ ევროპის უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკეები. მარგარეტა ვოისკა, (ბულგარეთი), მარტა კოვაჩი (უნგრეთი), მარინა პოგორევიჩი (რუმინეთი), რენატა ზაპოროვსკა (ჩეხოსლოვაკია), ლინდა მაიერი (შვეიცარია), ანა მარია ბეჩე (ბელგია), ელენ გრნატი (ინგლისი), მასპინძლები, იუგოსლავიის ჩემპიონი გოგონათა შორის სუზანა მაქსიმოვიჩი, ზორიცა ნიკოლინი და სხვები.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ია მოსულა — ს. კილაძის ფოტო.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲔᲜᲓᲘ

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲕᲚᲝ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). შინ მატარებლით გვიან ღამით ბრუნდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის კავთისხევის სადგურის ავტომბოლეირების მექანიკოსი, ლენინის ორდენოსანი ა. ბარნოვი. გრაკალის სადგურში მოძრაობა შეფერხდა, ამას ისიც დაემატა, რომ კავთისხევის სადგურის საისრო უბანი დაზიანებას აჩენენდა ა. ბარნოვმა ავტომატიკის ფარს მიაშურა და მისი დაზიანების მიზეზიც მალე იპოვა — რელსი გატეხილიყო. მალე აქ ერევან-როსტოვის მატარებლის შემადგენლობას უნდა გეევლო. დრო არ ითმენდა. მექანიკოსმა სადგურის ტერიტორიაზე მცხოვრები რკინიგზელი მუშები გააღვიძა, თავად გზის ოსტატის მოვალეობის შესრულება იკისრა და 35 წუთის შემდეგ რკინიგზაზე მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელმა მუშაკებმა მაღალი შეფასება მისცეს მექანიკოსის საზრიანობასა და პროფესიულ ოსტატობას.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲧᲣᲗᲮᲘᲓᲘ.

ფონტენბლოში (საფრანგეთი) მიმდინარე საერთაშორისო ასპარეზობის სამი დღის შემდეგ დაწინაურდა უნგრელი ტამაშ სომბატელი — 3156 ქულა. მეორე ადგილზეა ირეი ადამი (ჩეხოსლოვაკია) — 3139, მესამეზე — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ლევონელი პავლე ლედნიოვი — 3086 ქულა.

□

ᲑᲘᲐᲢᲚᲝᲜᲘ. შვეიცის ქალაქ ხელდენსეტის მიდამოებში დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა 20 კილომეტრზე რბოლაში. სამივე სპპრიზო ადგილი დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა: კლაუს ზაბერტმა (1 საათი, 3 წუთი და 33 წამი), ფრანკ ულრიხმა (1:04.56) და ებერხარდ რეშმა (1:05.19).

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲕᲚᲝ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). შინ მატარებლით გვიან ღამით ბრუნდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის კავთისხევის სადგურის ავტომბოლეირების მექანიკოსი, ლენინის ორდენოსანი ა. ბარნოვი. გრაკალის სადგურში მოძრაობა შეფერხდა, ამას ისიც დაემატა, რომ კავთისხევის სადგურის საისრო უბანი დაზიანებას აჩენენდა ა. ბარნოვმა ავტომატიკის ფარს მიაშურა და მისი დაზიანების მიზეზიც მალე იპოვა — რელსი გატეხილიყო. მალე აქ ერევან-როსტოვის მატარებლის შემადგენლობას უნდა გეევლო. დრო არ ითმენდა. მექანიკოსმა სადგურის ტერიტორიაზე მცხოვრები რკინიგზელი მუშები გააღვიძა, თავად გზის ოსტატის მოვალეობის შესრულება იკისრა და 35 წუთის შემდეგ რკინიგზაზე მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელმა მუშაკებმა მაღალი შეფასება მისცეს მექანიკოსის საზრიანობასა და პროფესიულ ოსტატობას.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

Გ. ᲤᲐᲤᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲐᲚᲐ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1943 წლიდან გიორგი ვასილის ძე ფაფლენიშვილი.

გ. ფაფლენიშვილი დაიბადა 1897 წლის 4. (ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ) ᲥᲝᲜᲓᲠᲘᲐᲜᲘ. გორის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამედიცინო განათლება მიიღო ჯერ ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, შემდეგ ქ. თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე (1919-1924 წლებში). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკის ასისტენტად. 1930 წლიდან ხაშურის რაიასავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეა, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტიური ქირურგიული კლინიკის ასისტენტი.

დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან დამთავრებამდე გ. ფაფლენიშვილი ფრონტზე იყო, მუშაობდა ევაკოჰოსპიტლის წამყვან ქირურგად.

ომის შემდეგ იყო საქართველოს ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ამ წლებში გ. ფაფლენიშვილი მუშაობდა პროფესიული ტრავმატიზმის, ძვლების სიმსივნეების, ძვალსახსართა ტუბერკულოზისა და სხვა საკითხებზე.

იგი მისთვის ჩვეული ენერგიით ედგა სათავეში ინსტიტუტის სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, რომელიც მოიცავდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის მრავალ აქტუალურ პრობლემას.

გ. ფაფლენიშვილის სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარჩინებულის ნიშნით, არჩეული იყო საქართველოს სსრ ტრავმატოლოგთა და ორთოპედოთა საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

წავიდა ჩვენგან გულისხმიერი, დარბაისელი კაცი, რომლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲗᲐ-ᲝᲠᲗᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

რედაქტორი

Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

22 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: 09.00 — „ᲕᲐᲠᲛᲘᲐ“ (მ.), 09.40 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „გაჩუქენ ცისარტყელას“ (ფ.), 10.00 — შვეიცაროელთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პლანეტის მომავალი“ (ფ.), 11.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.45 — „თქვენთვის, მშობლებო“ (მ.), 12.15 — ნაღური მუსიკის კონცერტი (ფ.), 12.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „დილის ნისლივით“ (ფ.), 13.50 — ქართული საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „პირადი მაგალითი“, 14.15 — „თბილისი და თბილისელები“. საგელვეზიო ჟურნალი (ფ.), 14.45 — „მდერის ჯეინო ბიკი“ (ფ.), 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმების საგელვეზიო ფესტივალი „ჯადოსნური ეკრანი“, 17.40 — სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფ.), (განმეორებით), 18.30 — „კინონარკვევი, 18.40 — „ოქროპირი“. საგანრულ-იუმორისტული საგელვეზიო ჟურნალი (ფ.), 19.15 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 20.15 — „საუბრები ლიტერატურაზე“ გ. ფაფლიკიძის რომანი „ეტეტური მზის წელიწადი“ (ფ), 21.00 — „მოსამბე“ (ფ.), 21.30 — დოკუმენტური ფილმი „ოქროს